

საქართველო  
შ.პ.ს  
“ავერსი-ფარმა”

0112, თბილისი, დ. აღმაშენებლის 148/2  
ტელ.: 2987860, 2997970  
ფაქსი: 2911906



GEORGIA  
“AVERSI-PHARMA” Ltd

148/2, D. Agmashenebeli Ave., Tbilisi,  
0112  
Tel.: (995 32) 2987860, 2997970  
Fax: (995 32) 2911906

E-Mail: info@aversi.ge

WEB: www.aversi.ge

№ 118/9 “05” 07 “2013 წ.

სს „ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრის“ გენერალურ დირექტორს ბატონ თენგიზ ცერცვაძეს

ბატონო თენგიზ,

თქვენი 2013 წლის 01 ივლისის #01-19/495 წერილი კიდევ ერთხელ ადასტურებს თქვენი ორგანიზაციის არასწორ დამოკიდებულებას კონსტიტუციით დაცული საკუთრების უფლების მიმართ. 2012 წლის 08 თებერვლიდან დღემდე შპს „ავერსი-ფარმა“ ვერ სარგებლობს საკუთრებაში არსებული ფართით.

თქვენი ორგანიზაცია არ იხდის უძრავი ქონებით სარგებლობისათვის და დაბრუნების დაყოვნებით გამოწვეულ ქირას. გაცნობებთ, რომ 2013 წლის 01 ივლისის მდგომარეობით ზემოაღნიშნული თანხა გაიზარდა 56 947 ლარით, შპს „ავერსი-ფარმა“-ს მიმართ არსებული დავალიანება შეადგენს 954 353.17 ლარს. ვითხოვთ, აღნიშნული თანხის გადახდას. იმედი გვაქვს, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან ერთად უახლოეს დღეებში გადავწყვიტავთ: ამ საკითხს.

ასევე გაცნობებთ, რომ „ქ.თბილისში, ალ. ყაზბეგის გამზ. #16-ში მდებარე, შპს „ავერსი-ფარმა“-ს საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე ფიზიკური პირებისა და სატრანსპორტო საშუალებების დაშვების წესები“ გადმოგეცათ იმ მიზნით, რომ გაცნობით, მოგეწოდებინათ თქვენი მოსაზრებები და თუ რაიმე საკითხი იქნებოდა შემაფერხებელი - მოგეწოდებინათ ალტერნატიული გადაწყვეტა, პოზიციების შეჯერების მიზნით. 2013 წლის 01 ივლისის დილის 9 საათიდან, ჩვეულ რეჟიმში ხდება პაციენტებისა და მნახველების ტერიტორიაზე დაშვება, არავინ შეფერხებულა დაცვის სამსახურის ქმედებით და ველოდებით თქვენგან დაშვების წესში განსახორციელებელ ცვლილებებს, რომელთაც მაქსიმალურად გავითვალისწინებთ - მთავარია, რომ ტერიტორიაზე დაშვება განხორციელდეს შესაბამისი პასუხისმგებელი პირის მიერ, რათა გამოირიცხოს შემთხვევითი პირების (ის, ვინც არ არის პაციენტი, მნახველი, მომვლელი) ტერიტორიაზე დაშვება.

პრინციპულად არ ვეთანხმებით თქვენს პოზიციას სამედიცინო დაწესებულების ფუნქციონირების ხელშეშლის ფაქტზე. შპს „ავერსი-ფარმას“ საკუთრებით თქვენი ორგანიზაცია სარგებლობს 2012 წლის 08 თებერვლიდან დღემდე ყოველგვარი ხელშეშლის და შეზღუდვის გარეშე, მესაკუთრის მოთხოვნას წარმოადგენს ფართით სარგებლობისთვის თანხის გადახდა და სარგებლობის შეწყვეტის კონკრეტული თარიღის განსაზღვრა.

კიდევ ერთხელ მოგმართავთ წინადადებით, მოგვაწოდოთ წერილობით, ტერიტორიაზე ფიზიკური პირების და სატრანსპორტო საშუალებების დაშვების წესების თქვენი ვარიანტი.

პატივისცემით,

გენერალური დირექტორი :

შემსრულებელი ქეთევან რუხაძე 577 75 11 55

ირ. ფურცელაძე

